ავტობიოგრაფია

მე, თამარ მაზანაშვილი, დავიბადე 1991 წლის 26 ოქტომბერს, ქ. თბილისში.

2010 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 130-ე საჯარო სკოლა.

2011 წელს ჩავირიცხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 2015 წელს აღნიშნული ფაკულტეტი დავამთავრე და მომენიჭა სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

2015 წელს სწავლა განვაგრძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე. 2017 წელს აღნიშნული ფაკულტეტი დავასრულე წარჩინებით და მომენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

2017 წლიდან - დღემდე ვარ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი.

საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების პერიოდში, 2014 წლის ოქტომბრიდან - 2015 წლის აპრილამდე, სტაჟირება გავიარე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.

2015 წლის 01 ოქტომბრიდან - 2018 წლის 02 ივლისამდე ვმუშაობდი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე (სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესის და კრიმინოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები) მდივნად.

2018 წლის 02 ივლისიდან - 2020 წლის 20 იანვრამდე ვმუშაობდი გორის რაიონული სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების სხდომის მდივნის თანამდებობაზე.

2020 წლის 20 იანვრიდან - 2021 წლის 15 სექტემბრამდე ვმუშაობდი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის სამდივნოს სხდომის მდივნის პოზიციაზე, ხოლო 2021 წლის 15 სექტემბრიდან - 2023 წლის 26 ოქტომბრამდე მეკავა ამავე სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის სხდომის მდივნის თანამდებობა.

2023 წელს ჩავაბარე მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

2023 წლის 26 ოქტომბრიდან - 2025 წლის 26 თებერვლამდე ვიყავი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.

2025 წლიდან ვარ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი.

მონაწილეობა მაქვს მიღებული ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. ვარ რამდენიმე სამეცნიერო სტატიის ავტორი. ამასთან, სასამართლო სისტემაში მუშაობის პერიოდში ვესწრებოდი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ორგანიზებულ პროფესიულ ტრენინგებსა და სემინარებს.

თამარ მაზანაშვილი

12.03.2025